MES 2 21 0001190256

05/11/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 22 ოქტომბერს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/81578999388?pwd=bFdHMFFzNzFEZS9JdjNTL2xkSEJqQT09
Meeting ID: 815 7899 9388

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი/საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე /საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:
გიორგი სოსიაშვილი - უნივერსიტეტის რექტორი,სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
დავით ჩოჩიშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი
ნინო მაზმიშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი
მიხეილ კასრაძე - საფინანსო სერვისების პროგრამის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“
თამთა კვინიკაძე - ხარისხის მართვის ხელმძღვანელი, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კონსტანტინე ქავთარაძე - ფინანსური მენეჯერი

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA
ჟუჟუნა ზოიძე - დირექტორი,
თეონა კალანდაძე - დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა
იოსებ კაჭახიძე - დამფუძნებელი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:
ანა უგულავა
გიული გურგენიძე
ნატო ალავიძე
ლევან მადათოვი
გივი დოლიძე
მანანა მოისწრაფიშვილი
ნიკა ჯიაძე
ნანა ვერულაშვილი
თამილა გრძელიშვილი
შორენა ხუბუნაია
ნანა ხითარიშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის

პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხო-ვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი და საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს ქრისტინა რზგოევას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - კოლეჯი “მერმისის” პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის №1012304 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საფინანსო სერვისების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“-ის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ კოლეჯი ,,მერმისის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის №1012304 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოზე წარადგინა მაყვალა დარსანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის №1012304 გადაწყვეტილების დანართში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა და შუამდგომლობით მიმართა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ იყვნენ წინააღმდეგი ამ ტექნიკური უზუსტობის გასწორების შესახებ და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი “მერმისის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის №1012304 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის №1012304 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

საბჭოს სხდომას 14:15 საათზე შემოუერთდა მარიამ ქუჩულორია.

2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ანა უგულავას და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2021 წლის 14 ივლისის №706603 ოქმი) სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 სექტემბრის №954554 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (განხორციელების ადგილი, - ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებთან დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამის განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელებს და ბიბლიოთეკარს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების მიერ ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. აღნიშნულის ფარგლებში ონლაინ ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა პროგრამის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი გარემო.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე დისტანციურად განხორცილებული ვიზიტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრული შესაბამისი“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ გამოსწორებული იქნა პროგრამის დამატებისას გამოვლენილი მეტწილი შესაბამისობა.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა ნატო ალავიძემ განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და დასძინა, რომ ის საქმიანი რეკომენდაციები, რაც ექსპერტების მიერ იქნა გაცემული მნიშვნელოვანი იყო და დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა.
შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, საუკეთესო გამოცდილების მაგალითებთან დაკავშირებით, ვინაიდან დაწესებულებაში ყველაფერი წესრიგში იყო, მითუმეტეს საინტერესო იქნებოდა მათი აზრი ამასთან დაკავშირებით.
ანა უგულავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვიწრო დიაპაზონით მიმდინარეობდა დაწესებულების შემოწმება, მისი აზრით ყურადღებას გაამახვილებდა დაწესებულების გამოცდილებაზე, ვინაიდან დიდი ხანია ხორციელდება დაწესებულებაში პროფესიული პროგრამები, დოკუმენტაცია, მატერიალური რესურსი წესრიგში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

ნანი დალაქიშვილმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება საუკეთესო გამოცდილებასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ მნიშვნელოვანი იყო არა დაწესებულების გამოცდილება, არამედ განვითარების დინამიკის გაუმჯობესება, რომელიც აშკარად სახეზეა და თვალსაჩინოა, ასევე დაწესებულების სწორი მიმღებლობა და დაწესებულების რექტორს მადლობა გადაუხადა ამისთვის, ასევე დასძინა, რომ ცალკე გაიხსნა უნივერსიტეტში პროფესიული განათლების ცენტრი და ცენტრის წარმომადგენლებსაც გადაუხადა მადლობა.
მან ასევე წარმატებები უსურვა ანა უგულავს, ვინაიდან მისთვის ეს დებიუტი იყო და მადლობა გადაუხადა.
შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა ნატო ალავიძემ დასძინა, რომ მისი აზრით დაწესებულების საუკეთესო გამოციდლების მაგალითად შეიძლებოდა ჩაეთვალათ ის, რომ უმაღლესი და პროფესიული განათლება გამიჯნული ჰქონდა

დაწესებულებას და არ ხდებოდა გადაფარვა პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს შორის.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაეზუსტებინა მონიტორინგის საფუძველი ხარვეზი იყო თუ რეკომენდაცია, რაზედაც ექსპერტმა განმარტა, რომ ეს იყო სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (ს/კ: 218076542) „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“-ის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ლევან მადათოვს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №937490 ბრძანებით, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ში განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება. წარმოების მიზანს წარმოადგენდა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული

სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება შედგა 2021 წლის 24 სექტემბერს, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, Zoom პლატფორმის გამოყენებით, ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად. კოლეჯმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2019 წლის 28 მაისის №116 გადაწყვეტილებით, ხოლო ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის №576705 გადაწყვეტილებით, ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის 2.2 კომპონენტიდან გამომდინარე შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. კერძოდ, კოლეჯს სრულად არ ჰქონდა შესყიდული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა. შესაბამისად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით დაინიშნა მონიტორინგი. (2021 წლის 15 ივნისის №575907 საბჭოს სხდომის ოქმი) კოლეჯის მიერ 2021 წლის 7 სექტემბრის №873822 წერილით ცენტრში წარმოდგენილ იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე დისტანციური ჩართვის დროს დათვალიერდა პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი აღჭურვილობა და 2.2 კომპონენტის 2.2.1 ქვეკომპონენტის ინდიკატორების მტკიცებულებების შემოწმებითა და ინტერვიუირებით დადასტურდა რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი 2.2 კომპონენტთან, შეფასდა როგორც ,,შეესაბამება“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ:

2.2.1(6) დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლით გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ და ასევე მე-15 მუხლით „ ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა“. დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა, თუმცა მარეგულირებელ წესებში იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი, პირის/პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. რაც გულისხმობს ამ პირების საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ადაპტირებული გარემოს მოწყობას, რომელშიც სასწავლო ფართის ადაპტირების გარდა მოიაზრება: საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და შესაბამისი სპეციალისტების - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის სასწავლო პროცესის ჩართვა, ამასთან, სასურველია კოლეჯმა აღნიშნულ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ საჭიროების შესაბამისად.

ლევან მადათოვმა ასევე წარმოადგინა დაწესებულების სასწავლო გარემოს ფოტოები.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს გივი დოლიძეს, რომელმაც დაადასტურა, რომ დაწესებულებაში იყო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, თამთა კვინიკაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ყურადსაღებია და დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა.
ნანი დალაქიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა ამჟამად თუ ჰყავდათ პროფესიული სტუდენტები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კვოტით გათვალისწინებული ადგილები შეივსო, დასძინა, რომ იმედი ჰქონდათ რომ მომავალში უფრო მეტი ინტერესი იქნებოდა ამ პროგრამის მიმართ.

ნანი დალაქიშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ვინაიდან ეს კოლეჯი არის პროფილური, ტრადიციული მიმართულების პროგრამებით, საუკეთესოდ აღჭურვილი , აქვს საერთო საცხოვრებელი, უსურვებდა მათ მეტ სტუდენტებს და ურჩია, მეტი აქტივობები განახორციელონ კოლეჯის ცნობადობის გასაზრდელად.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ხომ არ იქმნებოდა პრობლემები პროფესიული სტუდენტების გადაადგილებასთან დაკავშირებით, რომლებიც ახლო სოფლებში ცხოვრობენ და მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს აქვს საერთო საცხოვრებელი, მაინც ამჯობინებდნენ სახლიდან სიარულს, რაზეც კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურვილი აქვს შეუმსუბუქოს პროფესიულ სტუდენტებს ხარჯები და უზრუნველყოს მათი ტრანსპორტირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“-ში (ს/კ: 430035874) ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ,

რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 აგვისტოს №768169 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“ „ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ფარმაცია(სააფთიაქო)" და "საექთნო საქმის" ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისობის შეფასება (გეგმიური მონიტორინგი). ვიზიტი განხორციელდა ქ. ბათუმში. განხორციელდა დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები, შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, IT სპეციალისტს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს (ფარმაცია (სააფთიაქო)), ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა. პანდემიიდან გამოწვეული ვითარების გათვალისწინებით გასაუბრებები საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან (საექთნო განათლება), პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან განხორციელდა დაწესებულებიდან დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულების მონიტორინგის ფარგლებში ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა და დასკვნის პროექტში აისახა შემდეგი ხარვეზები:

1.2.1.3. - დაწესებულების სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი შესრულების ინდიკატორები, ასევე არ არის გამიჯნული ამოცანები და აქტივობები

5.1.2.1. - დაწესებულების მიერ არ არის შესრულებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით (№01502338/11.06.2019) მითითებული ვადების მიხედვით განსაზღვრული ყველა ღონისძიება. დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ 1.2.1.3.

ინდიკატორის მოთხოვნების შესრულება შეფასდა როგორც სრული შესაბამისობა, ხოლო 5.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები კი როგორც მეტწილი შესაბამისობა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ
5.1.2.1. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით (№01502338/11.06.2019) განსაზღვრული ყველა ღონისძიების შესრულება წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით.
ასევე გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ
1.1.1.3. დაწესებულების მისიის პუნქტი ,,პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა“ სასურველია გადატანილი იქნას ღირებულებების პუნქტის ,,განვითარებაზე ორიენტირებულობა“ აღწერაში;
3.1.1.3. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით ზოგ შემთხვევაში ხდება თემების დუბლირება, გადაფარვა ან შევსება, თუმცა არა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციით (მაგ. ფორმალური განათლების აღიარება გაწერილია როგორც სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში (მუხლი 6), ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ წესში (მუხლი 23), სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი გაწერილი იყო როგორც სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში, ისე შინაგანაწესში და ა.შ.). შესაბამისად, სასურველია საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციები მკვეთრად გაიმიჯნოს ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებისგან და ჩამოყალიბდეს თითო დოკუმენტის სახით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობისა და პასუხისმგებლობების მიხედვით სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის პროცედურებისა და წესების უფრო მარტივად აღქმასა და გამოყენებას.
5.2.2.1. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია საქმისწარმოების ერთიან წესებში უფრო დეტალურად გაიწეროს სხვადასხვა პროცედურები (დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია და შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვა, შემოსული დოკუმენტაციის დამუშავება და აღრიცხვა, დოკუმენტის განხილვა და პასუხის მომზადება, გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავება და აღრიცხვა, მმართველობითი დოკუმენტების მომზადება, ხელშეკრულებების აღრიცხვა, დავალებათა მომზადება, უცხოეთიდან შემოსული დოკუმენტაციის განხილვა, დოკუმენტის ასლების დამზადება, შენახვა, დოკუმენტების შესრულების კონტროლი, დიპლომების რეგისტრაცია და აღრიცხვა და სხვ.) და მათი შესრულების ვადები;
2.3.1.2. რადგან სტრუქტურის მიხედვით აკადემიაში არ არსებობს ხარისხის მართვის სამსახური, დოკუმენტს ,,ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა“ სასურველია ეწოდოს ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მაღალ პასუხისმგებლობაზე და დასძინა, რომ დაწესებულებამ მიმართა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რათა გადაემოწმებინათ რომ პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების საქმიანობის პროფილების მიხედვით, თუმცა საუკეთესო პრაქტიკის ნაწილში არ დაუფიქსირებია, ვინაიდან იქნება სხვა კოლეჯსაც აქვს ასეთი პრაქტიკა.
საბჭო თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით დასძინა, რომ ნამდვილად საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს კოლეჯის ეს პასუხისმგებლობა.
მანანა მოისწრაფიშვილმა ასევე წარმოადგინა დაწესებულების სასწავლო გარემოს ფოტოები.
შემდეგ დარგის ექსპერტებმა საბჭოს თავიანთი მოსაზრება გაუზიარეს, მათ აღნიშნეს, რომ კოლეჯს აქვს საუკეთესო გარემო და ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ყურადსაღებია და დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია და ხარვეზი გათვალისწინებული იქნა და წარმოადგინა ფოტოკოლაჟი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია BPA-ში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და "შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.
ვინაიდან საბჭოს წევრი გიორგი ხიშტოვანი გავიდა საბჭოდან 14:58 საათზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია BPA-ში (ს/კ: 245445004) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
შევიდეს ცვლილება „შპს ბათუმის საზოგადოებrივი აკადემია BPA-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხრილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**).

5. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №895022 ბრძანების საფუძველზე, შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში (ქ. ქუთაისი) არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის "გ.ა" და "გ.ბ" კომპონენტებისა და „ე“ ქვეპუნქტით" განსაზღვრული სტანდარტის "ე.ბ" და "ე.გ" კომპონენტების შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფს ცენტრმა მიაწოდა ინტერნეტ მედიაში - www.feedc გავრცელებული ინფორმაცია - შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში შესაძლო კორუფციული გარიგების თაობაზე. რეპორტაჟში - **კორუფცია ისევ საგანმანათლებლო დაწესებულებებში? რა ხდება ქუთაისის სამედიცინო კოლეჯში?** საუბარი იყო კოლეჯის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასა და მათი აქტიური სტატუსის ფლობის თაობაზე ცნობების გაცემის ფაქტზე, ერთ-ერთი ასეთი ცნობა თან ახლდა რეპორტაჟს, სადაც აღნიშნულია, რომ დოკუმენტის მიმღები ნამდვილად სწავლობს მოცემულ კოლეჯში „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიულ პროგრამაზე და სწავლის დასრულების დრო არის 2023 წელი, მაშინ, როდესაც პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1^2 პუნქტის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. აღსანიშნავია, რომ ცნობა გაცემული იყო დაწესებულების სახელით, კოლეჯის ოფიციალურ ბლანკზე დატანილი ტექსტით, კოლეჯის ბეჭდითა და რექტორის ხელმოწერით. (გამოქვეყნებულ დოკუმენტში დაცულია პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნები).

მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ცენტრის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, დილის 10:00 საათზე ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი კოლეჯში გამოცხადდა დაწესებულების მიერ ავტორიზაცის მესამე და მეხუთე სტანდარტის (5.2 და 5.3 კომპონენტის) პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით. ვიზიტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის თანახმად, დაწესებულებაში ვიზიტის ბრძანება და აგრეთვე დღის წესრიგი დაწესებულების წარმომადგენელს უნდა გაცნობოდა უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ. ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურმა 2021 წლის 14 სექტემბერს დაწესებულებას აგრეთვე გაუგზავნა აღნიშნული მონიტორინგის ვიზიტის ბრძანება.

კოლეჯის ტერიტორიაზე, სადაც ასევე განთავსებულია სასტუმრო, იმყოფებოდა რამდენიმე პირი. ექსპერტთა ჯგუფმა მიაწოდა მათ ინფორმაცია კოლეჯში ვიზიტის თაობაზე. ერთ-ერთმა განაცხადა, რომ კოლეჯში არავინ არ იმყოფებოდა და დარეკა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან - ნანა ჭიღლაძესთან, აცნობა ექსპერტთა ჯგუფის სტუმრობის თაობაზე და გაასაუბრა ცენტრის წარმომადგენელს. მან აღნიშნა, რომ მალე გამოცხადდებოდა კოლეჯში. აგრეთვე შედგა სატელეფონო კომუნიკაცია დაწესებულების რექტორთან, ბატონ იოსებ კაჭახიძესთან და მიეწოდა ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თაობაზე. ბატონმა იოსებმა განაცხადა, რომ იმყოფებოდა ქ. თბილისში. მას განემარტა, რომ საკმარისი იყო დაწესებულებაში გამოცხადებულიყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც ითანამშრომლებდა ექსპერტთა ჯგუფთან. მან განაცხადა, რომ ვერც ერთი თანამშრომელი ვერ ითანამშრომლებდა ექსპერტთა ჯგუფთან, ხოლო თავად მალევე წამოვიდოდა თბილისიდან. გარკვეული პერიოდის შემდეგ განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, ქალბატონ ნ. ჭიღლაძესთან, რომელმაც განაცხადა, რომ იგი უკვე მოდიოდა კოლეჯში, მაგრამ მას დაურეკა ბატონმა იოსებმა

და უთხრა, რომ არ შეხვედროდა ექსპერტთა ჯგუფს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ისევ შედგა სატელეფონო საუბარი რომ დაზუსტებულიყო დრო, თუ როდის შეძლებდა ის კოლეჯში მოსვლას. თუმცა შეხვედრა ვერ შედგა.
ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯში განმეორებით გამოცხადდა შეთანხმებულ დროს - 18:20 საათზე, კოლეჯში არავინ არ იმყოფებოდა. 18:26 საათზე განხორციელდა სატელეფონო ზარი ბატონ იოსებთან, თუმცა მან ზარს არ უპასუხა. განმეორებითი სატელეფონო ზარი შედგა 19:01 საათზე, რა დროსაც მან განაცხადა, რომ ის იმყოფებოდა გზაში და 1.5 საათში იქნებოდა ქუთაისში, იყო სიცხიანი და ჰქონდა კოვიდი. შეკითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა კოვიდის თაობაზე მან დილით საუბრისას, აღნიშნა რომ ეს მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა და დაიცავდა დისტანციას. მას განემარტა, რომ ყოვლად დაუშვებელი იყო კოვიდ ინფიცირებულთან კონტაქტი და გამომდინარე იქიდან, რომ იგი გვიან ჩამოვიდოდა ქუთაისში, შედგა შეთავაზება, რომ ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯში გამოცხადდებოდა 2021 წლის 15 სექტემბერს, დილის 10:00 საათზე, კოლეჯში დახვდებოდა პასუხისმგებელი პირი, რომელიც ითანამშრომლებდა ექსპერტთა ჯგუფთან, ხოლო ბატონ იოსებთან კომუნიკაცია შედგებოდა დისტანციურად. აღსანიშნავია, რომ ბატონ იოსებს არაერთხელ განემარტა, რომ ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს უფლებამონაცვლე პირი/პირები და შეუძლებელია დაწესებულება დამოკიდებული იყოს ერთ ადამიანზე. მას აგრეთვე განემარტა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24-ე პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის დროს დაწესებულება არ ითანამშრომლებდა ექსპერტებთან ან/და არ მისცემდა სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას, შესაფასებელი სტანდარტ(ები)ი შეფასდებოდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. დამატებით განხორციელებული ზარის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ექსპერტთა ჯგუფს 2021 წლის 15 სექტემბერს, დილის 10:00 საათზე კოლეჯში დახვდებოდათ პასუხისმგებელი პირი, ხოლო თავად ჩაერთვებოდა ონლაინ სხვა ლოკაციიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბატონ იოსებს 2021 წლის 14 სექტემბერს 23:23 საათზე ელ. ფოსტაზე გაეგზავნა ჩართვაზე მოწვევა (ზუმის ლინკი).
2021 წლის 15 სექტემბერს დილით 10:00 საათზე ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი გამოცხადდა კოლეჯში. სადაც მათ დახვდათ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ქალბატონი ნ. ჭიღლაძე. მან განაცხადა, რომ ვინადან პარასკევს, 2021 წლის 10 სექტემბერს კოლეჯის რექტორი ბ-ნი იოსები იმყოფებოდა კოლეჯში, ხოლო მას ამჟამად ჰქონდა კოვიდ ინფექცია, მიზანშეწონილად ჩაითვალა კოლეჯის ადმინისტრაციული შენობის იმ ნაწილის დეზინფექცია, სადაც განთავსებულია ადმინისტრაციული სივრცე, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფისა და ცენტრის წარმომადგენლის სამუშაო სივრცედ შესთავაზა კოლეჯის ერთ-ერთი სასწავლო ოთახი, რომელსაც ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი. ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, გაეცნო მას ვიზიტის ბრძანება და დღის წესრიგი, გაცნობის ფაქტი დადასტურდა მისი ხელმოწერით. ქ-ნ მა ნანამ აღნიშნა, რომ ორგანიზაციის ბეჭედი და ყველა დოკუმენტაცია არის ჩაკეტილი ადმინისტრაციულ სივრცეში, სადაც უნდა განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოები. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების პერიოდითა და ადმინისტრაციულ სივრცეში პირის უსაფრთხო დაშვების შესაძლებლობით, რომლის დროსაც მოხდებოდა მხოლოდ დოკუმენტაციის გამოტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა სატელეფონო კომუნიკაცია კოლეჯის თქმით - სადეზინფექციო სამუშაობის განმახორციელებელ პირთან, რომელმაც განაცხადა, რომ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებიდან სივრცეში პირთა უსაფრთხო დაშვება შესაძლებელი იქნებოდა ასეთი სამუშაოების განხორციელებიდან ერთი საათის შემდეგ, ხოლო სადეზინფექციო სამუშაოებს ჩაატარებდნენ 14.00 საათისათვის, თუმცა დღის განმავლობაში აღნიშნული სამუშაო არ ჩატარებულა. კოლეჯის რექტორთან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია დისტაციურად ჩართვის მიზნით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისა და ცენტრის წარმომადგენლის არაერთი მცდელობის

მიუხედავად, ბ-ნმა იოსებმა ვერ შეძლო ონლაინ ჩართვა (შეთავაზებულ იქნა არაერთი ონლაინ პლატფორმა, მათ შორის: ზუმი, google meet, მესენჯერი), ამიტომ კომუნიკაცია განხორციელდა ტელეფონის საშუალებით, ხმოვან რეჟიმში, საუბარს ასევე ესწრებოდა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოადგენელი ქ-ნი ნანა ჭიღლაძე. საუბრისას ბატონმა იოსებმა განაცხადა, რომ იცნობდა www.feedc-ზე განთავსებულ ინფორმაციას, რომელსაც ამავდროულად დართული ჰქონდა მისი დაწესებულების სახელით, ოფიციალურ ბლანკზე დატანილი ტექსტით, კოლეჯის ბეჭდითა და ბ-ნი იოსების ხელმოწერით დამოწმებული ცნობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ბ-ნმა იოსებმა განაცხადა, რომ მის კოლეჯს ასეთი დოკუმენტი არ გაუცია, კოლეჯში არ არის აქტიური სტატუსის მქონე პირები და აღნიშნული დოკუმენტი არ შეესაბამება სინამდვილეს, შესაბამისად არ არის ინფორმირებული ცნობის მიმღების ან აღნიშნული ინფორმაციის გამავრცელებელთა ვინაობის თაობაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ www.feedc-ზე განთავსებული ინფორმაცია არის სიცრუე.

ექსპერტთა ჯგუფი ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტებიდან გამომდინარე, გაესაუბრა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლო კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდა 2021 წლის მაისსა და ივნისის თვეში და გამოიცა კოლეჯის რექტორის ბრძანება. ამ ეტაპისათვის მათ არ ჰყავთ აქტიური სტატუსის მქონე პირები, თუმცა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში „რეესტრი“) ფიქსირდება 73 აქტიური სტატუსის მქონე პირი. ეს ფაქტი ქალბატონმა ნანამ ახსნა მისი ბრალეულობით, რომ რეესტრში დროულად არ ასახა შესაბამისი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძ. N1/03; 03.01.2019), სადაც საქმისწარმოების მენეჯერის ფუნქციებშია გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა, კოლეჯისა და პერსონალის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემების საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში შეტანის ვალდებულება. საუბრისას გამოიკვეთა, რომ ამ 73 სტუდენტიდან ზოგიერთს არ მიენიჭა კვალიფიკაცია და მათ შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი, თუმცა აღნიშნული ინფორმაციაც არ არის ასახული რეესტრში. ვინაიდან ვერ დგინდება პროფესიული განათლების მართვის სისტემაში კოლეჯში ჩარიცხულ პირთა სტატუსი, წინამდებარე დასკვნაში მოცემული პირები ნახსენები იქნება როგორც „პროფესიული სტუდენტი/კურსდამთავრებული“. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქალბატონი ნანას თქმით კოლეჯში ირიცხებოდნენ მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტები, თუმცა მათ შესახებ რეესტრში არანაირი ინფორმაცია არ ასახულა.

ექსპერტთა ჯგუფი დღის ბოლომდე იმყოფებოდა კოლეჯში, თუმცა დაწესებულებამ **არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი,** რითაც დადასტურდებოდა მონიტორინგს დაქვემდებარებული სტანდარტების შესრულების ფაქტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- კოლეჯის რექტორთან სატელეფონო გასაუბრება;
- კოლეჯის ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრება;
- კოლეჯის კანცელარიის თანამშრომელთან სატელეფონო გასაუბრება;
- პროფესიული სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან სატელეფონო გასაუბრება, რომელთა შესახებ ინფორმაცია ამოღებულ იქნა რეესტრიდან;
- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერება, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა და მარეგულირებელი აქტების შესწავლა. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის სწორი და ვალიდური გარდა შემდეგი დოკუმენტისა: „შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტთა ჯგუფს ელექტრონულად მიეწოდა ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით.
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაციის შემოწმება;

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბება და კოლეჯის წარმომადგენლისათვის გაცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელმა და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა შეადგინა კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის თაობაზე აქტი, სადაც აისახა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა, აქტი ხელმოწერილია სამივე მხარის (ექსპერტთა ჯგუფი, ცენტრის წარმომადგენელი, კოლეჯის წარმომადგენელი) მიერ და მიეწოდა საბჭოს.

ვინაიდან დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს არ მიაწოდა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, ვერ განხორციელდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება.

ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვინაიდან, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი და მტკიცებულება მონიტორინგს დაქვემდებარებული სტანდარტის შესაბამისი კომპონენტების შესრულების თაობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24-ე პუნქტის შემდეგი ჩანაწერით „იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის დროს დაწესებულება არ ითანამშრომლებს ექსპერტებთან ან/და არ მისცემს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას, შესაფასებელი სტანდარტი შეფასდება როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

მე-3 სტანდარტის 3.1; 3.2 კომპონენტებიშეფასდა **შეუსაბამოდ** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი ან მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას; პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ასევე არ დადგინდა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის ფლობის ან გამოყენების შემთხვევები;

მე-5 სტანდარის 5.2; 5.3 კომპონენტები შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა კოლეჯის არგუმენტირებული დასაბუთების მიზნით წარმოდგენილი კორესპოდენცია და მისი დანართები. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის არგუმენტირებულ პოზიცია და მისი დანართები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

- კოლეჯის მიერ წარმოდგენილ კორესპოდენციაში მითითებულია, რომ დანართის სახით წარმოდგენილია კოლეჯის ბლანკი, თუმცა წერილს ასეთი დანართი არ ახლავს;
- კოლეჯის ხელმღვანელი წერილის დასაწყისში აღნიშნავს, რომ ისინი აწარმოებენ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (კერძოდ ასახულია სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია), ამავე წერილის შემდეგ ნაწილში ასევე აღნიშნულია, რომ კოლეჯს არ ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, რის გამოც თანამშრომლები გაშვებულ იქნა უვადო შვებულებაში, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებოდა 73 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, ამასთან კანონმდებლობა უვადო შვებულების ცნებას არ ცნობს (საქართველოს ორგანული კანონი - შრომის კოდექსი);
- კოლეჯის ხელმძღვანელი კორესპოდენციაში აღნიშნავს, რომ ქალბატონი ნ. ჭიღლაძე არ წარმოადგენს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რის დასტურადაც წარმოადგინა ნ. ჭიღლაძის გათავისუფლების ბრძანება. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მიერ

წარმოდგენილი ბრძანება (№1/02, 28.01.2020) ეხება დაწესებულების ერთწლიანი 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებას და თანამდებობიდან გათავისუფლებას, ამავე ბრძანების ჩანაწერის მიხედვით გათავისუფლებულია ქალბატონი ნ. ჭიღლაძე ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია-მოვალეობებისაგან, ხოლო ხარისხის უზრუნველუოფის სამსახურის ფუნქციებს შეასრულებს კოლეჯის რექტორი. ერთ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში ორი სხვადასხვა შინაარსის, მათ შორის ერთი საკადრო საკითხის შესახებ გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესებთან“ (მუხლი 38. პ. 3.ა); მუხლი 51. პ. 3). საყუადღებოა ის ფაქტი, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურის წარმომადგენლად დაწესებულების ვებგვერდზე მითითებულია ქ-ნი ნ. ჭიღლაძე (ვებგვერდზე ყველა ინფორმაციის ნამდვილობა, გარდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა, დადასტურებულია კოლეჯის წარმომადგენლის მიერ, ვრცლად იხ. დანართი №2-კოლეჯში ვიზიტის პერიოდში შექმნილი აქტი), კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, ქ-ნი ნ. ჭიღლაძე ასევე წარმოდგენილი იყო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის სტატუსით და ამავე სტატუსით არის ხსენებული აქტში, რომელიც ასევე მის მიერაა ხელმოწერილი. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა აღნიშნული ინფორმაცია და 2021 წლის 13 ოქტომბერს წერილობით მივმართეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშით ასახული ინფორმაციის მიხედვით, ვინ იყო კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი, ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სსიპ განათლების ხარისხის ცენტრში 2020 წლის 3 აგვისტოს ცენტრში შესული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის თვითშეფასების ანგარიშში (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი 654650. დაწესებულების წერილის ნომერი 4/47. 31.07.2020) კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის პროფესიული განათლების ნაწილში პოზიციაზე მითითებულია ნანა ჭიღლაძე და თვითშეფასებაში მისი საკონტაქტო ინფორმაციაა მითითებული. ასევე, 2020 წლის 7 თებერვალს, ქალბატონი ნანა ესწრებოდა პსდ ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, რასაც ადასტურებს როგორც ოქმი, ასევე კოლეჯის რექტორის იოსებ კაჭახიძის წერილი (151136. 07.02.2020, დაწესებულების წერილის ნომერი 4/16. 03.02.2020) (იხ. დანართი N6). ზემოაღნიშნულის მიხედვით, თუ 2020 წლის 28 იანვარს გათავისუფლდა ქალბატონი ნ.ჭიღლაძე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგნელის თანამდებობიდან, გაუგებარია რატომ ფიქსირდება დაწესებულების მიერ მომდევნო თარიღებში წარმოდგენილ დოკუმენტებში ქ-ნი ნ. ჭიღლაძე, როგორც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;

- კოლეჯის ხელმძღვანელი წერილში აღნიშნავს, რომ 8 ოქტომბერს დაუდასტურდა კოვიდი, რის გამოც იმყოფებოდა თბილისში, ხოლო ექსპერტებისათვის დოკუმენტების მიწოდების მიზნით ჩავიდა ქუთაისში, ხოლო კოლეჯში გამოცხადებული იყო კარანტინი, რის დასტურადაც წარმოდგენილია ბრძანება №1/05, 10.09.2021. თუ კოლეჯში 2021 წლის 10 სექტემბერს გამოცხადდა კარანტინი, აღნიშნული ინფორმაცია რატომ არ ეცნობათ ექსპერტებს კოლეჯში ვიზიტის დღეს, 14 სექტემბერს. ასევე, გაუგებარია თუ 8 ოქტომბერს გამოუვლინდა კოვიდ ინფექცია, რატომ გამოცხადდა კარანტინი კოლეჯში 10 სექტემბერს;
- კოლეჯის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში საუბარია, რომ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის ვებგვერდზე ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი განთავსებული არ იყო, ხოლო ამავე

ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მართვის წესთან დაკავშირებით, კოლეჯის წარმომადგენელმა ნ. ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ იყო ძველი ვერსია და ექსპერტთა ჯგუფს ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით მიაწოდა სხვა ვერსია (ვრცლად იხილეთ აქტი), ამჟამად ვებგვერდზე განთავსებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის იგივე/ძველი ვერსია, რაც ქ-ნი ნ. ჭიღლის თქმით იყო შეცვლილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაურკვეველია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების მოქმედი ვერსიები;

- კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის წერილის მიხედვით წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მინიჭების, მობილობის წესით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალების ასლები, რომელთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2020 წლის 13 იანვარს გაცემულია ცნობა ანა ავალიანის სახელზე კოლეჯის დამთავრების შესახებ, მაშინ როდესაც ანა ავალიანს კვალიფიკაცია მიენიჭა რექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N1/03 ბრძანებით;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2020 წლის 9 ნოემბერს გაცემულია ცნობა თ. ვარდანაშვილის მიერ კოლეჯის დამთავრების შესახებ, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება გამოცემულია 02.12.2020 ბრძანება N 1/10;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2021 წლის 12 აპრილს ტიმოთე პიუსტკოს სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც მას კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს 2021 წლის 29 იანვრის N1/01;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2020 წლის 17 ივნისს სალომე მიქაუტაძის სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც მისთვის კვალიფიკაცია მინიჭებულია 2020 წლის 10 თებერვალის N1/03 ბრძანებით და სხვა;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, კოლეჯის მიერ 2020 წლის 24 აგვისტოს ს. გურგენიძის სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც ს. გურგენიძეს კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს 2020 წლის 10 თებერვლის N1/03 ბრძანებით;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, კოლეჯის მიერ ნინო ჯიქურიძის სახელზე 2020 წლის 29 ივნისს და 2020 წლის 6 აგვისტოს გაცემულია ცნობები პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც ნინო ჯიქურიძეს კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს 2020 წლის 10 თებერვლის N1/03 ბრძანებით;
- აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილ აქტებში არ იძებნება კოლეჯში თ. ბოჭორიშვილის ჩარიცხვის და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი, თუმცა კოლეჯის გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2021 წლის 25 იანვარს მის სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 7 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ, რომელთაც ახლავს კვირეებში გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა ვერ დგინდება საიდან გადმოვიდნენ სტუდენტები, რა წინმსწრებ განათლებას ფლობდნენ, როგორ განხორციელდა მიღებული განათლების აღიარება, იყვნენ თუ არა პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი/ჩართულნი ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პროცესში და სხვა.

პრეზენტაციის ბოლო ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ ძირითად მიგნებებზე, რომლებიც გამოიკვეთა დაწესებულებაში ვიზიტის და ასევე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, კერძოდ:

- კოლეჯი არ ახორციელებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განახლებას;
- გაურკვეველია კოლეჯში შიდა მარეგულირებელი აქტების მოქმედი ვერსიების იდენტიფიცირება;
- გაურკვეველია საკადრო პოლიტიკასთან და ფუნქცია-მოვალეობებთან, ასევე თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და შეჩერების საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები და რიგ შემთხვევებში სახეზეა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის შრომის კოდექსით განსაზღვრული დებულებების დარღვევა;
- კოლეჯს გაცემული აქვს ცნობა „კოლეჯის დამთავრების“ შესახებ, მაშინ როდესაც ასეთ სტუდენტებს კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს ერთი ან რამდენიმე თვის შემდეგ;
- კოლეჯს გაცემული აქვს ცნობა „სტუდენტის შესახებ“, მაშინ როდესაც ასეთ სტუდენტებს კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს ერთი ან რამდენიმე თვის წინ;
- კოლეჯს გაცემული აქვს ცნობა ისეთ პირზე, რომლის ჩარიცხვისა და კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტი არ იძებნება
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კვირეებში გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა არაა მობილობით გადმოსული პირებისთვის სწავლის შედეგების აღიარების დოკუმენტები, ამიტომ ვერ დგინდება: საიდან გადმოვიდნენ სტუდენტები, რა წინმსწრებ განათლებას ფლობდნენ, როგორ განხორციელდა მიღებული განათლების აღიარება, იყვნენ თუ არა პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი/ჩრთულნი ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პროცესში და სხვა.
- კოლეჯი არ იცავს პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა სარეკლამო ფოტო მასალა, მაშინ როდესაც მოცემული სტუდენტების თანხმობა არ არსებობს;
- კოლეჯში გაურკვეველია საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის არსებობის ფაქტი, ცალსახაა, რომ კოლეჯში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა არ გამოიყენება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნანა ხითარიშვილმა დასძინა, რომ პრეზენტაციაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაწვრილებით ჰქონდა წარმოდგენილი ყველა საკითხი და ეთანხმებოდა მის პოზიციას.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ნინო სტეფანიშვილს, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს ახლდა ვიზიტზე, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომექსპერტებს დასკვნაში და პრეზენტაციაშიც დეტალურად ჰქონდა აღწერილი ის სიტუაცია, რაც ვიზიტის დროს დაფიქსირდა, აქედან გამომდინარე დასამატებელი არაფერი არ ჰქონდა.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ მასაც არ ჰქონდა დასამატებელი არაფერი, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პრეზენტაცია შესაძლებელია ძალიან დეტალურად იყო წარმოდგენილი, თუმცა ექსპერტმა ასევე ამ ვიზიტის საბაბიც ახსნა და ვინაიდან ეს იყო არაგეგმიური მონიტორინგი, და ასეთ შემთხვევაში ავტორიზაციის დებულების თანახმად წინასწარ ვიზიტის შესახებ ინფორმაციის გაგზავნის საშუალება არ აქვს ცენტრს, აქვე დასძინა რომ დასკვნა 15 ოქტომბერს იქნა დაწესებულებაში გაგზავნილი 3 სხვადასხვა ელფოსტაზე და დაწესებულებას ჰქონდა საშუალება გაცნობოდა დასკვნას.
ამის სემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს, რომ სხდომის მიმდინარეობის პროცესში მიიღო დიდი რაოდენობით ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, დასძინა, რომ მოწერილ ტექსტს ახლა ვერ გაეცნობოდა, თუმცა დასძინა, რომ ანონიმური პირი ითხოვდა მიეცათ საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრება ამ დაწესებულებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მისი ხმა არ ისმოდა. ნანა ყუფუნიამ თხოვა სამდივნოს მოეხდინათ პირის იდენტიფიცირება, მისთვის გაუგებარი იყო ამის მიზანი, თუმცა არც ვალდებულება არ ჰქონდა სხდომის წაყვანის პარალელურად ამ ტექსტსაც გაცნობოდა და ვერც რეაგირებას ვერ მოახდენდა.

ამ პირის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ამის შემდეგ მან საბჭოს სხდომა დატოვა.
16:16 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა გიორგი ხიშტოვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია.

კოლეჯის დამფუძნებელი/რექტორი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ 90-იანი წლებიდან ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას, დასძინა რომ კოლეჯი განთავსებული იყო ქალაქის ისტორიულ ნაწილში, და საბჭოს წევრებს გააცნო თავისი მოღვაწეობის ისტორია, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ მას მიმართა თხოვნით, რომ ესაუბრა მხოლოდ არსებით საკითხთან დაკავშირებით.
კოლეჯის დირექტორი დაინტერესდა, თუ საიდან მოვიდა ეს წერილი, ვინაიდან, როგორც მან აღნიშნა, ეს დოკუმენტი მას არ ჰქონდა და არც ექსპერტებს არ დაუტოვებიათ.
ამასთან დაკავშირებით ნინო სტეფანიშვილმა დასძინა, რომ დაწესებულება საქმის კურსში იყო ამის შესახებ, პარალელურად ექსპერტმა ეკრანზე გააზიარა ბმული, სადაც იყო ეს წერილი განთავსებული.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა საბჭოს, რომ საბჭოს განხილვის საგანი ვერ იქნებოდა ეს წერილი, საბჭოს ფორმატი ითვალისწინებდა მხოლოდ ექსპერტების დასკვნის განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ სტანდარტებთან მიმართებაში ყველა კომპონენტში უარყოფითი შეფასება, და აქვე დასძინა, რომ დაწესებულებაში ადრეც ყოფილან ექსპერტები სხვადასხვა დროს, თუმცა მისი განმარტებით დოკუმენტი, რომლის საფუძველზე განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მას, რომ ეს არ წარმოადგენდა საბჭოს ფორმატს და ექსპერტებმა სტანდარტებთან შეუსაბამობა დაადგინეს დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო მისი ფუნქციონირების საკითხს და განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა ეწურებოდა 2022 წელს, თუმცა აქვე დასძინა, რომ ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს მას არ მიეცა უფლება დაემატებინა პროგრამები, ამავდროულად მისთვის გაუგებარი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ ვიზიტის დროს ასეთი დასკვნის დაწერა, ვინაიდან ადრე დაწესებულებაში ასეთი უარყოფითი დასკვნა არ დაფიქსირებულა, და ორი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ერთმანეთს აბათილებდა, რაც სრულიად გაუგებარი იყო დაწესებულებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯის მიმართ ხდება ორმაგი სტანდარტის გამოყენება.
შემდეგ მას სურვილი ჰქონდა საბჭოს წინაშე წარედგინა დოკუმენტები და დასძინა, რომ მცირე დროში გაეცა პასუხი დასკვნაში მოცემულ საკითხებზე, თუმცა ნანა ყუფუნიამ მიუთითა, რომ საბჭო ხელახლა ვერ განიხილავდა იმ დოკუმენტაციას , რომლებიც უკვე შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა და დასკვნა დაიდო, საბჭო დაეყრდნობოდა დასკვნაში აღწერილ გარემოებებს.
დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო ასევე საფასურის გადახდის საკითხს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო არ შეუჩერებია სტუდენტებისთვის სტატუსი, და საბჭოს წარმოუდგინა 78 კურსდამთავრებულის სია და დიპლომები, რომელთაც ჰქონდათ ფინანსური დავალიანება და ამის გამო სანამ არ გადაიხდიდნენ საფასურს, ვერ მიიღებდნენ დიპლომებს.

ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა, ეთანხმებოდა თუ არა ის ექსპერტების შეფასებას, ვინაიდან საბჭო უნდა გასულიყო სათათბიროდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საუბარი გააგრძელა არაარსებით საკითხებზე, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს გასულიყვნენ სათათბიროდ, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელი განაგრძობდა არაარსებით საკითხებზე საუბარს და თან მოითხოვა, რომ თუ მას არ ექნებოდა თავისი აზრის გამოხატვის საშუალება, გადაედოთ ეს საკითხი.

ნანა ყუფუნიამ მიმართა საბჭოს წევრებს, გაეგრძელებინათ საბჭოს მუშაობა და დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, თუ რა დრო დაჭირდებოდა მას, რამდენ ხანში დაასრულებდა თავისი პოზიციის დაფიქსირებას.
მარიამ ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები კიდევ 5 საათი ვერ გააგრძელებდნენ საბჭოს სხდომას და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაახლოებით მაინც განესაზღვრა დრო, თუ რამდენ ხანში დაასრულებდა თავისი პოზიციის დაფიქსირებას, რაზეც მან უპასუხა, რომ დაჭირდებოდა დაახლოებით საათნახევარი.
ამის შემდეგ საბჭო გავიდა სათათბიროდ.
სათათბიროდან საბჭოს წევრების დასრულების შემდეგ ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭო მას აძლევდა შესაძლებლობას წარმოედგინა თავისი არგუმენტირებული პოზიცია.
მიუხედავად იმისა, რომ საბჭომ გარკვეული დრო მისცა დაწესებულების წარმომადგენელს, მან მაინც განაგრძო საუბარი არაარსებით საკითხებზე.
ნანა ყუფუნიამ შესთავაზა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ისურვებდა ის დასკვნაში მითითებული კომპონენტების მიხედვით გაეცა პასუხი, თუმცა მან უპასუხა, რომ ეს არ იყო აუცილებელი, ვინაიდან მას ჰქონდა დასკვნა და გააგრძელა საუბარი.
გიორგი ხიშტოვანმა მიუთითა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ვინაიდან იგი ვერ ჩაეტეოდა დროში, ესაუბრა მხოლოდ არსებით საკითხებზე.
ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დასკვნიდან არ იყო საჭირო ციტირების გაკეთება, არამედ სასურველი იყო მას პასუხი გაეცა კონკრეტულ საკითხზე.
დაწესებულების წარმომადგენელი ისევ დაუბრუნდა წინა ვიზიტის დასკვნას და აღნიშნა, რომ თუ ერთი წლის წინ ყველაფერი წესრიგში იყო, ერთ წელიწადში ასეთი უარყოფითი დასკვნა არ უნდა ყოფილიყო, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ეს სავსებით შესაძლებელი იყო.
ამის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს, რომ ხელახლა განხორციელებულიყო დაწესებულებაში ვიზიტი და შეესწავლათ ყველაფერი, რაზეც ნანა ყუფუნიამ განმარტა, რომ განმეორებითი ვიზიტი იმ შემთხვევაში იყო გამართლებული, თუ საბჭო ჩათვლიდა საჭიროდ დამატებით მოკვლევას და ასევე დასძინა, რომ ჩაინიშნებოდა თუ არა დამატებითი მოკვლევა ეს საბჭოს პრეროგატივა იყო.
მიუხედავად საბჭოს თავმჯდომარის არაერთი მცდელობისა, საუბარი გაგრძელებულიყო არსებით საკითხებზე, დაწესებულების წარმომადგენელი მაინც არაარსებით საკითხებზე განაგრძობდა საუბარს.
საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მისი აზრი დაფიქსირებულიყო სხდომის ოქმში და აღნიშნა, რომ რამდენჯერმე გაჟღერდა ფორმულირებული წინადადებები დაწესებულების მხრიდან, როგორიცაა „თქვენ ასე გინდათ და გაშავებული გინდათ აქედან წავიდე“, „თქვენ ასე გინდათ და არ ვიცი რატომ გინდათ“ და სხვ. ის გრძნობდა თავს შეურაცხყოფილად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არც უფიქრია.
იგი შეეხო სტუდენტების სტატუსის საკითხს და დასძინა, რომ დაწესებულებაში იყო დარჩენილი სტატუსუსშეჩერებული 78 პროფესიული სტუდენტი „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის ფარგლებში, დააზუსტა, რომ მათ დაახლოებით 8 თვე დარჩათ პროგრამის დასრულებისთვის, და დასძინა რომ საქართველოში არც ერთ დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს ეს პროგრამა. მან მიმართა ნანი დალაქიშვილს, რომ ეს ნამდვილად ასე იყო თუ არა, რაზეც ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ საგნობრივ პროგრამებზე სწავლა დაშვებულიყო

იყო მხოლოდ 2021 წლის ბოლომდე, თუმცა დაწესებულებას შეეძლო დაემატებინა ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ეს იქნებოდა ამ პროფესიული სტუდენტებისთვის გამოსავალი, აქვე დასძინა, რომ დაწესებულებამ ფაქტია, რომ ფეხი ვერ აუწყო ახალ სტანდარტებს, იგი ასევე შეეხო ექსპერტებისთვის დოკუმენტაციის მიწოდების საკითხსაც და მიმართა დაწესებულების წარმოამდგენელს, რომ დაწესებულებას ყველა პირობები უნდა შეექმნა ექსპერტებისთვის და მიეწოდებინა საჭირო ინფორმაცია.

საბჭოს სხდომა 17:35 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა შორენა ჯაფარიძემ და მარიამ ქუჩულორიამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააგრძელა საუბარი კომპონენტების მიხედვით, თუმცა თავისი მსჯელობის ფარგლებში მაინც საუბარი გაგრძელდა არაარსებით საკითხებზე.

ნანი დალაქიშვილმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ დასკვნის პროექტიც და დასკვნაც დროულად იყო გაგზავნილი დაწესებულებაში, თუმცა იგი მაინც თავის აზრს ახმოვანებდა იმასთან დაკავშირებით, რომ იმ პერიოდში კოვიდი ჰქონდა და ამან ითამაშა გარკვეული როლი, მისი თქმით, დეზინფექციის გაკეთებაზე ექსპერტებმა დაურეკეს შესაბამის ორგანოს.
ამასთან დაკავშირებით ნანა ყუფუნიამ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ეს საკითხი გაერკვიათ, რადგან ეს იყო უხეში ჩარევა, თუ ნამდვილად ექსპერტების მხრიდან დაფიქსირდა ეს ფაქტი.
ამასთან დაკავშირებით ნინო სტეფანიშვილმა განუმარტა საბჭოს, რომ არანაირი ზარი არ განხორციელებულა ექსპერტების მხრიდან, უბრალოდ მათ იკითხეს თუ რამდენ ხანში იქნებოდა შესაძლებელი დოკუმენტაციის გამოტანა შენობიდან დეზინფექციის შემდეგ.
იქიდან გამომდინარე, რომ დიდხანს გაგრძელდა მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოსთვის გასაგები იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტების შეფასებას და თხოვა დაესრულებინა საუბარი და ასევე მიმართა, თუ იყო დასკვნაში ისეთი პუნქტი, რასაც ეთანხმებოდა, რაზეც პასუხი ვერ გასცა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ითხოვა, რომ საბჭო გასულიყო სათათბიროდ.
სათათბიროდ გასვლამდე საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ავტორიზაციის საბჭო მოქმედებს მისი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტთა დასკვნაზე დაყრდნობით და მხარეების მოსმენის საფუძველზე, ძირითადი არგუმენტების გადაწყვეტილების მიღებისას არის პროფესიული საგანმანალებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები და დაწესებულებების მიერ ამ სტანდარტების დაკმაყოფილების ხარისხი და არა ის ფაქტი, დასტურდება თუ არა დაწესებულებაში კორუფციის არსებობა, რაც თავისთავად, შესაბამისი ორგანოების შესწავლის საგანს წარმოადგენს.
სათათბიროდან მობრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლის შესაბამისად,
შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლას (ს/კ: 412672157) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

18:39 საათზე საბჭომ დაასრულა მუშაობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კულინარიის ხელოვნება (1, 2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	80	95	ქართული	80 (1) 27 (2)	ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	კონდიტერია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 1013	80	95	ქართული	32	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	მხატვრული ქსოვა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	გრაფიკული დიზაინის შესრულება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში 0211	90	120	ქართული	40	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
5	ფეხსაცმლისა დატყავის ნაკეთობათა წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში 0723	96	111	ქართული	28	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
6	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	40	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
7	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	32	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

8	მომინანქრება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში 0214	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
9	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	80	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
10	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	40	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
11	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	100	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
12	თექის დამზადება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
13	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	80	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
14	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	78	93	ქართული	20	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
15	ძრავას შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	57	72	ქართული	40	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
16	სავალი ნაწილის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	58	73	ქართული	20	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9აა

17	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	80	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
18	ვებ ტექნოლოგიები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებ ტექნოლოგიებში 0612	63	93	ქართული	40	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების დონე / საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**სწავლების ენა**	**სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	92	107	ქართული	49	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	123	153	ქართული	40	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67
2	საექთნო განათლება (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	60	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67
3	აღმზრდელი (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 0112	116	146	ქართული	40	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).